სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №8

ქალაქ ზუგდიდი 09 “ სექტემბერი ” 2019 წ.

შ.პ.ს „ზუგდიდექსპერტიზა” მისი დირექტორი ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „ მიმწო დ ებელ ი“ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა მისი დირექტორი ზუ რ აბ კუ პრ ეიშვილ ის სახით შემდგომში “შემსყიდ ველ ი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 **“შემსყიდველი” ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის**
საინჟინრო მომსახურებების შესყიდვა-- **CPV კოდი 71300000** ((კერძოდ,)
სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის (საპირფარეშო) დემონტაჟის პროექტის შედგენა (CPV კოდი 71324000)
.

1.2 **მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება:** 2019 წლის 09 სექტემბრიდან 2019წლის 12 სექტემბრამდე.

2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები.

2.1 ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.
,,,მიმწოდებელი“ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს სამ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ორი ეგზემპლარი ჩააბაროს „შემსყიდველს“.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 **მომსახურების ღირებულება: 200 (ორასი) ლარის ოდენობით**
3.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდელის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით
გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდება მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის შესაბამისად

4. მხარეთა პასუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „ შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს“ აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3 „შემსყიდველის~ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის 1 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „შემსყიდველთან ~ “ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების შესრულებაზე და მიღება-ჩაბარებაზე კონტროლს ახორციელებს ზუგდიდის №10 საჯარო **სკოლის დირექტორი ზურაბ კუპრეიშვილი.**

5.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

5 ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებით, თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში

6 .დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის
საფუძველზე.

7. დამატებითი პირობები.

7.1. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

7.2. ხელშეკრულება ძალაში **შედის 2019 წლის 09 სექტემბრიდან** და მოქმედებს **2019 წლის 12 სექტემბრამდე.**

7.3. ხელშეკრულების მე–3 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადაა **2019 წლის 14 ოქტომბრამდე.**

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო–თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

„შემსრულებელი“	*”შემსყიდველი„*
შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა“ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93 საიდენტიფიკადიო №220002128	**სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა** საიდენტიფიკაციო კოდი **220355309** მისამართი: ქ. ზუგდიდი, ესებუ ას N3 საბანკო რეკვიზიტები: **სს ”ლიბერთი ბანკი”**
„სს ლიბერთი ბანკის” სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა №GE93LB0113140929712000	**ბანკის კოდი: LBRTGE22** **ა/ა: GE84LB0121140654043000**
ტელ. (0415) 22 12 30, 555 14 11 12, 592 53 25 25	
დირექტორი Zurab Berulava Подписано цифровой подписью: Zurab Berulava Дата: 2019.09.09 17:53:31 +04'00' ---------- ზ. ბერულავა	სკოლის დირექტორი ---------- ზ.კუპრეიშვილი